

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამუსნეტ ინტერაქტივ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს ამუსნეტ ინტერაქტივ ჯორჯიას დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ამუსნეტ ინტერაქტივ ჯორჯიას (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შესადარისი ფინანსური ინფორმაცია ასახავს პერიოდს 26 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2022 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, წარმოდგენილი მაჩვენებლები შეიძლება პირდაპირ არ იყოს შესადარისი სრულ თორმეტთვიან პერიოდთან 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხის გამო.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე.

დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა

არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

28 თებერვალი 2024



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		27,803	-
არამატერიალური აქტივები		91,667	91,667
		119,470	91,667
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	4	12,641,137	14,103,077
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	5	10,772,450	63,730
		23,413,587	14,166,807
სულ აქტივები		23,533,057	14,258,474
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება		12,244,611	826,618
		12,244,611	826,618
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	9,904,843	11,409,362
გადასახადები, გარდა მოგებისა	7	1,383,603	1,701,316
სესხები		-	321,178
		11,288,446	13,431,856
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,533,057	14,258,474

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 თებერვალს:

რადოსტინა პეტროვა ვალჩევა
გენერალური დირექტორი

მარი ხაჩიძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-26 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი

2022 წელი 26
სექტემბრიდან 31
დეკემბრამდე
პერიოდი

	შენიშვნა	2023 წელი	
შემოსავალი	8	123,919,200	11,951,760
საოპერაციო ხარჯები	9	(109,189,728)	(11,082,102)
სხვა ხარჯები	10	(3,520,963)	(13,684)
საოპერაციო მოგება		11,208,509	855,974
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	5	541,000	(4,060)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	11	(331,516)	(25,296)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		11,417,993	826,618
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		11,417,993	826,618
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		11,417,993	826,618

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-26 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	აკუმულირებული მოგება
2022 წლის 26 სექტემბერი	-
წმინდა მოგება	826,618
სულ სხვა სრული შემოსავალი	826,618
2022 წლის 31 დეკემბერი	826,618
წმინდა მოგება	11,417,993
სულ სხვა სრული შემოსავალი	11,417,993
2023 წლის 31 დეკემბერი	12,244,611

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-26 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი

2022 წელი 26
სექტემბრიდან 31
დეკემბრამდე
პერიოდი

	2023 წელი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	147,615,746	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(116,123,160)	(145,575)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,137,995)	(2,645)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული)ფულადი სახსრები	29,354,591	(148,220)
გადახდილი პროცენტი და საკომისიო	(5,427)	(118)
დაბრუნებული/გადახდილი გადასახადები	(17,630,347)	20,267
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	11,718,817	(128,071)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(35,998)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(100,000)	(100,000)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(135,998)	(100,000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოდინება მიღებული სესხებიდან	-	300,553
მიღებული სესხების დაფარვა	(318,457)	-
დეპოზიტის პროცენტი	541,995	188
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	223,538	300,741
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/შემცირება	11,806,357	72,670
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულზე	(1,097,637)	(8,940)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	63,730	-
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10,772,450	63,730

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-26) გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ამუსნეტ ინტერაქტივ ჯორჯია („კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2022 წლის 26 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო სამსახურის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 405563108.

კომპანია უზრუნველყოფს ონლაინ კაზინოს თამაშების მიწოდებას (აზარტულ თამაშები და სხვა საპრიზო თამაშები) საქართველოში ავტორიზებულ ონლაინ კაზინოებისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, სთავაზობენ ამ ონლაინ მომგებიან თამაშებს თავიანთი ვებსაიტების საშუალებით საცალო მომხმარებლებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი 117დ თბილისი, საქართველო.

კომპანიის დირექტორი არის რადოსტინა პეტროვა ვალჩივა (ბულგარეთის მოქალაქე). Amusnet Gaming Limited (მალტა) არის კომპანიის 100% კაპიტალის მფლობელი.

ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონის შესაბამისად, კომპანია აკმაყოფილებს მონეტარულ კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია და შეესაბამება მეორე ზომის-კატეგორიის საწარმოს. თუმცა, იმის გამო, რომ კომპანია გასული წლის განმავლობაში იყო მესამე ზომითი კატეგორიის ერთეული, მას ჯერ არ გააჩნია ვალდებულებები, რომლებიც დადგენილია მეორე კატეგორიის ერთეულებისთვის ამავე კანონის შესაბამისად. ამავე კანონის მიხედვით, კომპანია არ წარმოადგენს საჯარო დაინტერესების სუბიექტს (სდპ).

ბიზნეს გარემო

კომპანიის მის ბიზნეს საქმიანობას ანხორციელებს საქართველოში. საქართველოს ახასიათებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2021 წლის 1 მარტიდან საქართველოში ონლაინ აზარტული თამაშების ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა ძალაში, რომელიც არეგულირებს ონლაინ აზარტული თამაშების ოპერატორებისა და მომწოდებლების (თამაშების ან/და სხვა აუცილებელი პროდუქტების/მომსახურებების) მოვაჭრეების საქმიანობის შესაბამისობას და დანერგილ კონტროლის პროცედურებს:

- ფინანსთა სამინისტრომ შემოიღო მოთხოვნები (სტანდარტები), რომლებიც უნდა დაიცვან აზარტული თამაშების ოპერატორებმა და მომწოდებლებმა. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა შეარჩია კერძო სუბიექტი, ე.წ. „შერჩეული სუბიექტი“, რომელიც ახორციელებს ოპერატორების/მომწოდებლების შესაბამისობის აუდიტს აღნიშნულ მოთხოვნებთან და გასცემს მათ სერტიფიკატებს/ავტორიზებას;
- ონლაინ აზარტული თამაშების მომწოდებლები ექვემდებარებიან ლიცენზირებას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ის სუბიექტები არიან უფლებამოსილი, უზრუნველყონ თამაშები და/ან სხვა აუცილებელი პროდუქტები/მომსახურებები (მაგ. სპორტული პლატფორმა) სათამაშო ბიზნეს ოპერატორებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოში და ფლობენ ლიცენზიას;
- ასევე, „შერჩეული სუბიექტი“ პასუხისმგებელია ონლაინ მონიტორინგის სისტემის („ელექტრონული კონტროლის სისტემა“) დანერგვასა და ოპერირებაზე სალიცენზიო პირობებთან/ვალდებულებებთან შესაბამისობის კონტროლის მიზნით;
- ოპერატორები და მომწოდებლები ვალდებული არიან გადაუხადონ მომსახურების საფასური „შერჩეულ სუბიექტს“. ასეთი მომსახურების საფასურის ღირებულებას ან/და მაქსიმალურ ზღვარს ადგენს საქართველოს მთავრობა.

მენეჯმენტს არ შეუძლია განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბიზნეს სექტორზე და უფრო ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2 მომზადების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ (“ბასს”). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ქართული ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ მდგომარეობას.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად მოითხოვს მენეჯმენტმა გააკეთოს კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც შეიცვლება გარემოებები.

მენეჯმენტის აზრით, არ არსებობს დაშვებები და შეფასების გაურკვევლობა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიოს მატერიალური კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“IFRIC”) მიერ, რომლებიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ამ ცვლილებების ბუნება და ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგი პერიოდებისთვის.

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“
- ცვლილებები ფასს 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებებში (შესწორებები ფასს 17-ში და ფასს 4-ში)
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები).

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - (ბასს 12-ში ცვლილებები)

არსებული სტანდარტები ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ აღრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან. ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტით (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ბასს 21-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ფასს 17	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან (შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 16	საიჯარო ვალდებულებები (ცვლილებები ფასს 16-ში).	1 იანვარი 2024

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ზოგადი დაშვებები და ფასს-ების პირველად გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომლებიც მოქმედებდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებული იყო ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდისათვის.

კომპანია დაარსდა 2022 წლის 26 სექტემბერს. კომპანიას არ მოუზადებია და არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და, შესაბამისად, კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება პირველად და მისი მომზადებისას გამოიყენება ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.

კომპანიამ გამოიყენაერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა ყველა პერიოდის განმავლობაში.

ვინაიდან ეს არის კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, არ იყო საჭირო წინა პერიოდების კორექტირება და ფასს-ის მიღებისთვის საჭირო კორექტივების გამჟღავნება არ არის შესაბამისი.

იხილეთ შენიშვნა 2.5 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 შესადარისი პერიოდები

როგორც შენიშვნა 1-ში არის აღნიშნული, კომპანია დაარსდა 2022 წლის 26 სექტემბერს. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ 3 თვეს, ხოლო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 12 თვიან პერიოდს.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და შესყიდვის გადასახადებს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს ძირითად კომპონენტებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

ქონება აღმინისტრაციული მიზნებისთვის, ან ჯერ კიდევ განუსაზღვრელი მიზნებისთვის, აისახება თვითღირებულებით, ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ღირებულება მოიცავს უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს, საიტის მომზადების, ინსტალაციისა და აწყობის ხარჯებს, პროფესიულ ხარჯებს, სესხის აღების ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი ნივთებისა და აღჭურვილობის გასხვისების ან ამოღების შედეგად, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან შემოსულებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. სხვა შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და ტექნიკური მომსახურება, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და, პირველ რიგში, მოიცავს ლიცენზიებს ძირითადი საქმიანობის განხორციელებისთვის. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში ან ემატება სხვა აქტივის ღირებულებას წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც შეფასებულია 1 წლით.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება უდიდესი თანხით მის გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასვლის დანახარჯები.

3.6 წინასწარგაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა აღიარდება აქტივის საბალანსო ღირებულებად მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონელი ან მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.7 ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთჩათვლა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

წმინდა შემოსავალი და ხარჯები წარმოდგელობს ბუღალტრული არიცხვის და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად როდესაც არის დაშვებული, ან მოგება და ზარალი წარმოიქმნება ჯგუფში მსგავსი ტრანზაქციებიდან როგორც არის კომპანიის სავაჭრო საქმიანობა. მენეჯმენტი წარმოგიდგენთ კომპანიის საგადასახადო წმინდა ბალანსს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის 407 ბრძანების საფუძველზე.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელმეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 13.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება არ არის გათვალისწინებული, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს არა ისეთ ბიზნესმოდელში რომლის მიზანია, რომ კომპანიამ მიიღოს სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები (hold to collect), კატეგორიზდება „რეალური ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივებად, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აისახება“ (FVTPL). გარდა ამისა, განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ამ კატეგორიის აქტივები იზომება სამართლიანი ღირებულებით, და მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში. ამ კატეგორიის ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიური საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცდევს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმწიფოებო აქტივებს, რემლბიგ აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელმწიფოებოებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ასევე სახელმეკრულებო აქტივების აღრიცხვისას და აღრიცხავს რეზერვს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით. ეს არის სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ხარვეზები, ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ნებისმიერ მომენტში დეფოლტის პოტენციალის გათვალისწინებით.

გაანგარიშებისას, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად რეზერვის მატრიცის გამოყენებით.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე, რადგან ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, რომლებიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იქნა აღიარებული.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც „FVTPL“ ან „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც FVTPL, როდესაც ფინანსური ვალდებულება (i) გამოიყენება სავაჭროდ, ან (ii) იგი განსაზღვრულია როგორც FVTPL.

ფინანსური ვალდებულებები (FVTPL) აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში. მოგება-ზარალში აღიარებული წმინდა მოგება ან ზარალი აერთიანებს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში „წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის ნასესხები სახსრები, თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური პროცენტის მეთოდის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდში საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. EIR არის განაკვეთი, რომელიც ამცირებს მომავალ ფულადი გადახდებს ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულებულია, გაუქმებულია ან ამოიწურა. სხვაობა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სავალდებულო ინსტრუმენტს მეორეში არსებითად განსხვავებული პირობებით, ასეთი გაცვლა აღირიცხება, როგორც საწყისი ფინანსური ვალდებულების გაუქმება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება.

ანალოგიურად, კომპანია ითვალისწინებს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებით ცვლილებას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების აღიარებას. ვარაუდობენ, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საკომისიო, მიღებული და დისკონტირებული ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10 პროცენტით განსხვავდება დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

3.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.10 კაპიტალი

აკუმულირებული მოგება ან ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას ან ზარალს. ყველა ოპერაცია კომპანიის მფლობელებთან, როდესაც ისინი მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ცალკეა წარმოდგენილი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად იმ პერიოდში, რომელშიც მათი განაწილება დამტკიცდება საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარებულია გადახდისას.

3.11 მოგების გადასახადი

საგადასახადო მოდელი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და კორპორატიული გადასახადის 15%-იან განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში გადასახდელია 15% სამემოსავლო გადასახადი (ანუ წმინდა დივიდენდები გამოითვლება დაკავებული დივიდენდის სამემოსავლო გადასახადით 5%, და გაყოფილი 0,85-ზე). 2017 წლიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ სუბიექტებთან არსებული ტრანზაქცია, ასევე ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე გაცემული სესხები მაშინვე იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათების გამოკლებით, მოცემულ იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ანაზღაურება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხები, აღირიცხება სხვა გადასახადებში, გარდა შემოსავალზე საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

მოგების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის არ არის დროებითი სხვაობა. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში არ არის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

3.12 დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას. რომელიც უნდა გადაიხადოს არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. როგორც წესი, ხდება დღს-ჩათვლა ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს ანგარიშსწორება მოახდინონ წმინდა საფუძველზე.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა სახით. როდესაც რეზერვი გაკეთდა დებიტორული დავალიანების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი აღიარდება მთლიანი თანხით დღგ-ს ჩათვლით.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ამ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

მოგება ან ზარალი ფულადი სახსრებიდან არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ფუნქციონალურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში და ამორტიზებულ ღირებულებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებული გაცვლითი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში იმ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადგინდა. უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი მუხლები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ოპერაციის თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობა, აღიარებულია მოგება-ზარალში.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (c) სოციალურ შენატანებსა და სხვა სოციალურ გადასახადებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.15 შემოსავალი

კომპანია შემოსავალში აღიარებს მისი ნორმალური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს. შემოსავალი აღიარებულია მისი სატრანსფერო ფასით. სატრანსფერო ფასი არის ანაზღაურების ოდენობა, რომლის უფლებასაც კომპანია მოელის კლიენტისთვის მიწოდებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარის სახელით მიღებული თანხების გამოკლებით. შემოსავალი აღიარებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ზოგადი მიმოხილვა მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის

საქართველოში აზარტული თამაშების ავტორიზებული ორგანიზატორებისთვის ონლაინ კაზინოს თამაშების შეთავაზებით მიღებული შემოსავლის გამოთვლა ხდება „მთლიანი თამაშების შემოსავლის“ (GGR) გარკვეული პროცენტის მინიჭებით. მთლიანი თამაშების შემოსავალი (GGR) გამოითვლება როგორც სხვაობა კლიენტების მიერ დადებულ ჯამურ ფსონებსა და კლიენტების მიერ მოგებულ თანხებს შორის, ბონუსების და ჯეკპოტების გამოკლებით.

საკონტრაქტო ვალდებულების შესრულების დროულობა

მომხმარებელთან ხელშეკრულების შესაბამისად შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხის სანაცვლოდ, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელსაც კომპანია მოელის, რომ დაიხარჯება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

რეგულარული სერვისების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი, როგორიცაა ონლაინ მომგებიანი თამაშების მიწოდება, აღიარებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც კი სერვისი განხორციელდა, შესაბამის კონტრაქტში ასახული პირობების შესაბამისად. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველი თვის ბოლო დღეს გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წლის ბოლოსთვის ადგილი არ აქვს საკონტრაქტო აქტივსა და ვალდებულებას.

მარწმუნებლისა და რწმუნებულის როლი

იმის დასადგენად, კომპანია მოქმედებს როგორც მარწმუნებელი ან როგორც რწმუნებული, მენეჯმენტმა გამოიყენა შემდეგი ინდიკატორები მომხმარებელთან და მომწოდებელთან დადებული ხელშეკრულებიდან:

- ხელშეკრულების შესრულებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელია კომპანია. ასევე, კომპანია საბოლოო ჯამში პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ონლაინ თამაშები აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებზეც მომხმარებელთან გაფორმებულ კონტრაქტშია გაწერილი;
- კომპანიას აქვს მომხმარებელთან გასაყიდი ფასის დადგენის უფლებამოსილება, და კომპანიის მიერ მიღებული მოგება არის ის თანხა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მომხმარებელთან შეთანხმებულ გასაყიდ ფასსა და მომწოდებლისათვის გადასახდელ თანხას შორის;
- კომპანიის საზღაური არ არის გამოხატული საკომისიოს ფორმით;
- კომპანიას არის სრულიად პასუხისმგებელი გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მომხმარებელთაგან მისაღები თანხების ამოღებაზე.

შესაბამისად, კომპანიამ თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული მომსახურების მიწოდება (ე.ი. გამოდის მარწმუნებლის როლში). ზემოაღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე სუბიექტი ასკვნის, რომ ის აკონტროლებს პროდუქტს კლიენტზე გადაცემამდე. ამრიგად, სუბიექტი არის ტრანზაქციის ძირითადი მხარე და აღიარებს შემოსავალს იმ ანაზღაურების მთლიან ოდენობით, რომელიც მან უნდა მიიღოს მომხმარებლისგან მომსახურების სანაცვლოდ.

4 სავაჭრო მოთხოვნები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს ავიატორი	3,417,663	3,244,994
შპს მარსი	2,685,582	3,548,342
შპს ფულ ჰაუსი	2,552,214	3,290,431
შპს ბეთლაივი	1,377,705	1,106,614
შპს ლიდერ-ბეთი	1,218,601	1,319,386
შპს ჩემპიონები 111	849,018	1,391,128
შპს ასვლა	432,887	202,182
შპს კლუბი ამბასადორი	107,467	-
	12,641,137	14,103,077

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და საშუალოდ გადახდები ხორციელდება ინვოისის მიღებიდან 1-დან 6 დღემდე. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან. კომპანიის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სავაჭრო და სხვა დებიტორებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ნოლის ტოლი როგორც 2023 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. დებიტორული დავალიანების ჩამლა უცხოურ ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 14 (ა)- მი

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	329,637	53,541
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	50,818	-
ფული დეპოზიტზე ეროვნულ ვალუტაში	10,391,995	10,189
	10,772,450	63,730

საბანკო დეპოზიტი წარმოადგენს მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდ ფულში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ამ საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იყო 541,995 ლარი (188 ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის).

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, ნაღდი ფულის ნაშთების გამოკლებით, არის „BB- რეიტინგული“ საკრედიტო სააგენტო Fitch-ის მიხედვით და არ არის ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული. ფული და ფულის ეკვივალენტები უცხოურ ვალუტაში იხილეთ შენიშვნა 14 (ა)- მი

6 სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს ამუსნეტ ინტერაქტივი	6,954,843	8,573,768
შპს რენდომ სისტემს ჯორჯია	2,950,000	2,835,594
	9,904,843	11,409,362

კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელის გადახდა საკრედიტო ვალდებში. ჩვეულებრივ, კომპანია ფარავს ვალდებულებებს ინვოისის მიღებიდან 30 დღის

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

განმავლობაში. სავაჭრო გადასახდელებზე პროცენტი არ ირიცხება. სავაჭრო ვალდებულებების ჩამლა უცხოური ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 14 (ა)- ში

7 გადასახადები, გარდა მოგებისა

გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისთვის განკუთვნილ ხაზინის ერთიან ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიქვითება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წმინდა საგადასახადო ვალდებულებები შეადგენდა 1,383,603 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,701,316 ლარი), რომელიც ძირითადად წარმოადგენს დღგ-ს.

8 შემოსავალი

ლარი

	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
შპს ავიატორი	29,365,924	2,749,995
შპს მარსი	29,241,641	3,007,069
შპს ფულ ჰაუსი	25,889,436	2,788,501
შპს ლიდერ-ბეთი	13,039,110	1,118,123
შპს ბეთლაივი	12,303,207	937,808
შპს ჩემპიონები 111	10,554,526	1,178,922
შპს ასვლა	3,149,107	171,342
შპს კლუბი ამბასადორი	367,051	-
სხვა	9,198	-
	123,919,200	11,951,760

ლარი

	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
მიწოდებული სერვისების ღირებულება	123,919,200	11,951,760

ინფორმაცია მომხმარებლებთან დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებების ხასიათის შესახებ მოცემულია 3.15 შენიშვნაში.

9 საოპერაციო ხარჯები

ლარი

	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ონლაინ თამაშები მოწოდების ხარჯები	78,975,321	8,573,768
მარეგულირებლის მიერ მოწოდებული სერვისი*	30,114,407	2,500,000
სათამაშო ბიზნესის ლიცენზიები და მოსაკრებლები**	100,000	8,334
	109,189,728	11,082,102

* სერვისები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ერთიანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და მართვას, რომელიც გათვალისწინებულია „ლატარების, აზარტული თამაშების და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზების შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ.

** 2021 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არეგულირებს ონლაინ თამაშების ბიზნესის ფუნქციონირებას საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს დარეგულირდეს როგორც

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ონლაინ თამაშების ოპერატორების, ისე მომწოდებლების (თამაშების ან/და ძირითადი პროდუქტების/მომსახურებების გამყიდველები) მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე ზედამხედველობა. ონლაინ თამაშების ადგილობრივ პროვაიდერებს აქვთ უფლება, მიიღონ ლიცენზიები საქმიანობის განსახორციელებლად, რაც ზღუდავს თამაშების მიწოდებას მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის, რომლებსაც აქვთ ლიცენზიები.

10 სხვა ხარჯები

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ბონუსები***	2,287,694	-
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება****	803,242	-
ხელფასი	277,943	-
მარკეტინგული ხარჯი	45,152	-
მივლინება	10,706	-
სხვა ხარჯი	96,226	13,684
	3,520,963	13,684

*** ბონუსი წლის განმავლობაში გაცემულია აღმასრულებელ დირექტორზე

**** საკონსულტაციო და პროფესიონალური მომსახურება ძირითადად წარმოადგენს იურიდიულ მომსახურებაში გადახდილ თანხებს.

11 ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,097,637)	(8,940)
სავაჭრო ვალდებულებები	767,669	-
სესხები	(1,548)	(16,356)
	(331,516)	(25,296)

12 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შეფასებები და დაშვებები ყოველთვის ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინებს, რომლებიც გონივრული იქნება მოცემულ ვითარებაში.

12.1 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიის ბიზნეს მოდელის, საოპერაციო საქმიანობისა და სასიცოცხლო ციკლის მიმდინარე ეტაპის გათვალისწინებით, არ არსებობს ოპერაციები ან ნაშთები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან დაშვებებს ან კრიტიკულ სააღრიცხვო შეფასებებს.

12.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა მომავალში და იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტ საფუძველს, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამის გარდა სხვა ალტერნატივა.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ამ კუთხით და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

13 ფინანსური ინსტრუმენტები

13.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შენიშვნა 3.8-ი აღწერს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თითოეულ კატეგორიას და დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

13.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები კატეგორიის მიხედვით შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ლარი

ამორტიზირებული ღირებულება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	12,641,137	14,103,077
ფული და ფულის ეკვივალენტები	10,772,450	63,730
სულ ფინანსური აქტივები	23,413,587	14,166,807

ფინანსური ვალდებულებები

ლარი

ამორტიზირებული ღირებულება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სესხები	-	321,178
სავაჭრო ვალდებულებები	9,904,843	11,409,362
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,904,843	11,730,540

14 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოფციონებს უშვებს. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს ფინანსური ინსტრუმენტების და კონკრეტულად კი სავალუტო რისკის გამოყენებით, რომელიც მისი საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ოპერაციები აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარში. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოშობილია სერვისის მოწოდებით ბულგარეთიდან, რომლებიც ძირითადად დენომინირებულია ევროში

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროს რისკს უქმნიან, წარმოდგენილია ქვემოთ.

ერთეული

31 დეკემბერი 2023

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფინანსური აქტივები

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სულ ფინანსური ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

ერთეული

31 დეკემბერი 2022

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

სავაჭრო ვალდებულებები

სულ ფინანსური ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მფლობელობას ლარის 15%-იანი (2022:15%) კლება/მატების გავლენას ევროსა და ფუნტის მიმართ. 15% (2022: 20%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება.

მფლობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2022: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ ევროსთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
მოგება (როცა ლარი მყარდება 15%)	1,043,226	1,334,242

ქართული ლარი რომ ფუნტთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ზარალი (როცა ლარი მყარდება 15%)	(7,623)	-

ზემოთ მოყვანილი ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის შეფასებას და აკეთებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ატარებს საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომელიც მოიცავს ფულს და ფულად ეკვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაავაჭირებული ფულად ბალანსებთან ბანკში და დეპოზიტებზე იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის საშუალებით, და განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონდე საფინანსო ინსტიტუტებში.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს კლიენტების კრედიტუნარიანობის ხარისხს. კომპანიის პოლიტიკაა მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობა. საკრედიტო ვადები მერყეობს 5 დან 25 დღემდე.

კომპანია არ ფლობს რაიმე გადაზღვევას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსებისა და გაცემული სესხებისათვის. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიის პოლიტიკა არის ლიკვიდობის მართვის გონივრული პოლიტიკის გატარება საკმარისი ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების არსებობით.

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულადი რესურსებს და სავაჭრო მოთხოვნებს.

კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება მის ვალდებულებას ფულის გადინებასთან დაკავშირებით. ფულადი ნაკადების მიღება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ხელშეკრულებით თანახმად ხორციელდება 5-დან 25 დღემდე ვადაში.

15 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღია დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ან ბოლოს, კომპანიას არ გააჩნდა აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რომლის სამართლიანი ღირებულება არის გამჟღავნებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფული საბანკო ანგარიშზე და სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

16 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება და უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების შესაბამისი ანაზღაურება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კომპანიის საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს ზედმეტი ლევერიჯი.

(დოუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები.

17 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნებიან მისი მფლობელები, ხელმძღვანელობა და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები.

17.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას ხელმძღვანელობს პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი. კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორთა საერთო კრება განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

კომპანიის დირექტორი არის რადოსტინა პეტროვა ვალჩევა, ბულგარეთის მოქალაქე. Amusnet Gaming Limited (მალტა) არის მშობელი კომპანია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს MID Holding Limited-ს (მალტა) შვილობილს.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა იველინა პეტროვა მიჰალევა (დიდი ბრიტანეთი).

17.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ოპერაციები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი*		
სერვისის ღირებულება	78,975,321	8,573,768
ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე ნაშთები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი*		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,954,841	8,573,768

*საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტს წარმოადგენს Amusnet Interactive Limited-ი (ბულგარეთი).

17.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც მოიცავს ხელფასს და ბონუსს.

ლარი	2023 წელი	2022 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე
ხელფასი და ბონუსი	2,425,625	-

18 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბერსა და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღს შორის არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი მოვლენა.